პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 15 სექტემბერი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

208 (906)

1და2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## დღეს ჩვენი წითელი ჯარი უშვებს შვებულ წითელ-არმიელების პირველ წყებას!

### მხურვალე სალამი წითელი ჯარიდან მიმავალ ახალი სოფლის აღმშენებლებს!

## შვებულო, ისმინე რასაც გავალებს შენ წითელი ჯარი!

დღეს წითელ ჯარიდან მიდის პირველი წყება შვებული წითელ არმიელებისა. წელნახევარი სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობის შემდეგ წითელ ყაზარმაში, ისინი კვლავ უბრუნდებიან შრომას.

ისინი დღეს სტოვებენ წითელ ყაზარმას, რომ იქ შეძენილი ცოდნა მოახმარონ ჩვენი სოფლის აღორძინების საქმეს.

და აი მიდის რა წითელ არმიელი გრძელ ვადიან შვებულებაში წითელი ჯარი მას ავალებს შემდეგს.

მიდიხარ რა წითელ ჯარიდან ნუ დაივიწყებ მას, ნურც იმას რომ შენ კიდევ სამი წლის განმავლობაში სამხედრო ვალდებული ხარ. გახსოვდეს მუდამ სამხედრო საქმე. ყოველმხრივ იზრუნე წითელი არმიის გაძლიერებაზე. ხელი შეუწყვე ტერიტორიალურ აღმშენებლობას. მუდამ მზად იყავი მტრის შესახვედრად, რომლებიც გარს არტყიან დიდ საბჭოთა კავშირს.

ყოველივე ის რაც წითელმა ყაზარმამ შეგძინა მოახმარე სოფელს. მხნედ და ენერგიულად ჩაები სოფლის აღმშენებლობით მუშაობაში და სხვაც მიიზიდე ამ საქმეში.

მისვლისას მჭიდრო კავშირი დაიჭირე მუშების და გლეხების ერთგულ მეთაურსა და ხელმძღვანელთან კომპარტიასთან. დაეხმარე მას რითაც კი შეგიძლია მისი შემოქმედებით მუშაობაში. ყოველმხრივ ეცადე დაუახლოვო გლეხები კომპარტიას და განამტკიცე მისი ავტორიტეტი.

მთელი შენი ძალა, მთელი შენი ცოდნა მოახმარე გლეხების და მუშების კავშირის გაძლიერებას და განმტკიცებას.

დაეხმარე კოოპერაციას. ნუ დაგავიწყდება რომ კოოპერაციის ნაყოფიერი მუშაობა გაამაგრებს სოფელს. გაიყვანე კოოპერატივის გამგეობაში პატიოსანი და მშრომელთა საქმის ერთგული გლეხები.

იზრუნე სოფლის განათლებაზეც. მოაწყვე ქოხ-სამკითხველო, გამოიწერე გაზეთები, მათ შორის აუცილებლად სასოფლო გაზეთი და ჟურნალი, ხელი შეუწყვე წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და სხვა.

ბევრი, ძლიერ ბევრი სამუშაო გიძევს წინ შვებულო! ყველას ვერ ჩამოთვლი. და იცოდე რომ ეს შენი მომავალი მუშაობა დაკავშირებულია ბევრს სიძნელეებთან და დაბრკოლებებთან. ეს აქედანვე კარგად უნდა გაითვალისწინო. ამიტომ ნუ შეუშინდები ნურავითარ დაბრკოლებებს, ნუ დაგაღონებს ერთი ან ორი უნაყოფო ცდა, ყოველი დასახული მიზანი მტკიცედ მიიყვანე სასურველ ბოლომდე. ნუ აჩქარდები, ყველაფერს ერთად ნუ მოედები. იმუშავე გონიერად, გეგმიანად და მიზანშეწონილად დახარჯე შენი ძალა და ენერგია.

ყველგან და ყოველთვის საუკეთესო მაგალითი იყავ ყველასათვის.

დასასრულ სასტიკად ებრძოლე ყოველგვარ უკულმართობას სოფელში, იყავ სოფლის კორესპონდენტი.

ნუ გასწყვეტ კავშირს წითელ არმიასთან ნურც შენ მეგობარ გაზეთთან „წითელ არმიელთან". მოსწერე მას შენი მუშაობისა და ცხოვრების შესახებ.

გზა ბედნიერი შვებულო!

იმუშავე და იშრომე მშრომელი ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ!

## ახალი რადიო-ამბები

### ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია საკავშირო ცაკის სხდომაზე.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე სრული შემადგენლობით დაესწრო ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია. ამხ. კალინინი ესალმება მათ და მოუწოდებს შეისწავლონ დაწვრილებით საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და ამის შესახებ აცნობონ დასავლეთის მუშებს. დელეგაციის სა ხელით მისმა თავმჯდომარემ უოლხედმა განაცხადა, რომ ისინი მოხარული არიან საბჭოთა კავშირში ყოფნით, სადაც მათ სურთ შეისწავლონ ახალი საბჭოთა წესწყობილება, რადგან ადრე თუ გვიან ისინი იძულებულნი იქნებიან ინგლისშიაც დაამყარონ საბჭოთა წესწყობილება ისინი სიტყვას იძლევიან, რომ ყოველგვარ ღონისძიებებს იხმარენ, რათა ჩამოაგდონ ინგლისსა და საბჭოთ კავშირსა შორის ნორმალური ურთიერთობა.



ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. უოლხედი

### ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის გამოძახილი.

### კონსერვატორული მინისტრი კონგრესის შესახებ.

იორკშირში, ინგლისის კონსერვატორულ მინისტრმა ლისტერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შემდეგი განაცხადა: „ეჭვს გარეშეა, რომ ხალხმა, რომელმაც ხელთ იგდო ეხლა პროფკავშირების ხელმძღვანელობა, მტკიცედ გადასწყვიტა პროფმოძრაობა საწარმოვო ორგანიზაციიდან გადააქციონ კომუნისტურ—რევოლიუციონურ ორგანიზაციად. პროფკავშირებს მიტომ აქვს მიცემული უფლება თავისუფლებისა, რომ იმათმა შესძლონ უდიდესი საწარმოვო ფუნქციის შესრულება და არა მისთვის, რომ იმათმა მოინდომონ ინგლისის კონსტიტუციის და დაწესებულებათა დანგრევა".

### ინგლისის პრესა პროფკავშირთა ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ.

გაზეთების უმეტესობა პროფკავშირთა ყრილობას გადაწყვეტილებათა მიღებას დოუსეის გეგმის და საერთაშორისო მთლიანობის შესახებ სთვლის მემარცხენე ფრთის გამარჯვებათ. ზოგიერთი გაზეთები ამასთან ერთად იმასაც კი დასძენენ, რომ ეს რეზოლიუციები წარმოადგენენ კაპიტულიაციას (თავის დამარცხების აღიარებად) კომუნისტების წინაშე.

## გაწვევის წინ.

**საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. უნშლიხტის წერილი.**

ჩვენ ამ ჟამად ვსდგევართ 1903 წ. დაბადებულთა გაწვევის წინ. ეხლანდელი გაწვევა მიმდინარეობს სამეურნეო აღმშენებლობის განუწყვეტელ ზრდისა, მთელი საბჭოთა კავშირის განმტკიცების და სოფლის სამეურნეო წარმოების ზრდის პირობებში. ეს დიდი სასიხარულო მოვლენაა მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. არმიის რიგებში მოსული ახალწვეულები დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ურყევი დამცველები იქნებიან, ისინი საშვალებას მისცემენ მთელ მშრომელ მოსახლეობას დამშვიდებით განაგრძოს შემოქმედებითი აღმშენებლობა.

საჭიროა წესიერი და მოხერხებული მიდგომა არმიის ახლად შემავსებელ ახალგაზრდობისადმი, საჭიროა მათი ხელახალი აღზრდისათვის ზრუნვა, რომ ამაღლებული იქნეს მათი კულტურული დონე და მივსცეთ მათ საჭირო ცოდნა.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ახალწვეულთა უმრავლესობა სოფლიდან მოდის და რომ ის წვრილ ბურჟუაზიულ ფსიხოლოგიის და სარწმუნოებრივი გავლენის ქვეშ არის აღზრდილი.

ახალწვეული შეადგამს ფეხს თუ არა ყაზარმაში უნდა იგრძნოს, რომ წითელარმიაში ფოლადისებური დისციპლინა მეფობს, მაგრამ ამავე დროს, როგორც მეთაურთა შემადგენლობამ, ისე წითელარმიელებმა თბილად უნდა მიიღონ ის და ყურადღებით მოეპყრან მის შთაბეჭდილებებს.

პირველ ხანებში ახალწვეულები დასევდიანდებიან თავისი სოფლების მოგონებით. ძმური და ამხანაგური მიდგომა, დაკვირვებული მოპყრობა, ყველა მისთვის საინტერესო კითხვებზე ადვილად გასაგები პასუხის გაცემა და საერთოდ ნდობის ატმოსფერის შექმნა, საინტერესო გარანტიაა, რომ ახალწვეულის განწყობილებაში მოხდეს სწრაფი გარდატეხა.

ამავე დროს საჭიროა ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული იმისათვის, რომ წითელმა ყაზარმამ მიიზიდოს ახალგაზრდა წითელარმიელი. მასში უნდა იყოს სამაგალითო წესრიგი და სისუფთავე; წითელმა ყაზარმამ არა თუ მაქსიმუმი სამხედრო ცოდნის მიცემა უნდა შესძლოს, არამედ ხელიც უნდა შეუწყოს სამხედრო საქმისადმი სიყვარულის აღძვრაში, გარდა ამისა, ისინი აღზრდილი უნდა იქნენ კულტურულად და ხელი შეეწყოს მათ განათლების საქმეს.

არმიაში მოსულ ახალგაზრდობამ იმ წამსვე უნდა იგრძნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მასზე ფიქრობს, აფასებს მათ, ყოველწლობით აკმაყოფილებს მის აუცილებელ მოთხოვნილებებს, აუმჯობესებს ჩაცმა-დახურვის საქმეს, კვებისას და სხვა.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალურ მომენტს. წითელარმიის რიგებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, ერთი წუთითაც არ უნდა გრძნობდენ თავს მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად.

გამოწვევა ჩატარებული უნდა იქნას შეუჩერებლივ. თავის დროზე უნდა იქნეს მიღებული ზომები ახლად მოსულებისათვის კარგი პირობებისა და გარემოების შესაქმნელად.

მარტო სამხედრო უწყებას თავის ძალებით არ შეუძლია ამ ამოცანების შესრულება. საჭიროა პარტიულ, პროფესიონალურ, ახკომკავშირელთა და საბჭოთა ორგანიზაციების ფართო აქტიური მონაწილეობა, ზევიდან დაწყებული, გათავებული ქვედა ორგანიზაციებით. მხოლოდ გაერთიანებული ძალღონით შევსძლებთ სასურველ შედეგების მიღებას, ვინემ წარსულ წლებში.

ამხ. ახალწვეულნო, წითელი არმია მოუთმენლად გელით თქვენ. მას ეჭვი არ შედის, რომ თქვენ მიგაქვთ მის რიგებში ჯანსაღი თაობის ენტუზიაზმი. წითელ ყაზარმაში თქვენ ნახავთ ძმურსა და მეგობრულ თავშესაფარს.

გაუმარჯოს 1903 წ. გამოწვევას, რევოლიუციის შეიარაღებულ ძალების მტკიცე საფუძველს.

# ტერ-შეკრებაზე

## პოლიტ საათები ჩვენთან.

(მე-2-რე ცალკე საკავშირო ასეული.)

ასეულის წითელ-არმიელთა მთელი შემადგენლობა დაყოფილი არიან ჯგუფებად, თითეულ ჯგუფში იმყოფება 27-28 კაცამდე, სულ არის 5 ჯგუფი: ძირედი შემადგენლობა, უნცროს მეთაურები და ცვალებადელები.

ძირედი შემადგენლობის გარდა დანარჩენი 5 ჯგუფების პროგრამები ერთი და იგივეა. ჯგუფების ხელმძღვანელ-ბად არიან, როგორც ძირედი შემადგენლობის წ. არმიელები, ისე ცვალებადელებიდან, და ცვალებადი პოლიტხელებიც ჯგუფების ხელმძღვანელების მომზადება, ხდება, ყოველ სადამოობით.

მომავალში ჩასატარებელ თემებზე კეთდება საინსტრუქციო მოხსენებები, რომლებიც შემდეგ ხელმძღვანელებს გაფართოებულად გადააქვთ ჯგუფებში, შემდეგი წესით.

ჯერ ამ თემაზე კეთდება მოხსენება, შემდეგ შეკითხვები, რომლის საშვალებით წ.-არმიელი თვით იჭრება თემაში, და უახლოვდება ყოველმხრივ მას.

პოლიტ-საათებზე, ხელმძღვანელი ღებულობს შეკითხვებს არმიელებისაგან მათთვის გაუგებარ საკითხებზე, ასეულის ცხოვრებიდან და სხვა.

მაგ. მეთაურს აულია რიგის გარეშე სადილი. ახლად მოსულ წ. არმიელისათვის გაუგებარი იყო, ერგებოდა თუ არა რიგის გარეშე სადილი მეთაურს.

ხელმძღვანელი უხსნის თუ რატომ ერგება, უფ-პოლიტშემადგენლობას რიგის გარეშე სადილი.

ძირედი შემადგენლობის წ.-არმიელები არიან 29—23 კაცამდე. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურად ეს ამხანაგები კარგად არიან მომზადებული.

სანამდი ბანაკად გავიდოდით, ერთი თვის განმავლობაში, ძველი წითელარმიელები იმეორებდენ განვლილ თემებს, აკეთებდენ მოხსენებებს მორიგეობით და სხვა.

სათანადო დალაგებული მოხსენება, სწორი მიდგომა საკითხებისადმი და დანარჩენი წ.-არმიელებისგან მიღებულია შეკითხვებზე სწორი პასუხის გაცემა, ნათლად მოწმობდა იმას, რომ მათ კარგად ჰქონდათ ყველაფერი შეთვისებული, ბანაკობის დროს კი მიმდინარეობს საზამთრო პერიოდში ჩატარებულ თემების გამეორება, რომელსაც სიხალისით ეკიდებიან ამხანაგები.

**ტრანსპორტი.**

## მისაბაძი მაგალითი.

მე-6-ხე ტერ-ლეგიონი.

ტერიტორიალური შეკრების დასრულების დღიდანვე ლეგიონში სამხედრო კომისრის თანაშემწეთ დანიშნული იქნა ამხ. წითლიძე.

ამხანაგმა იმ თავითვე აიღო სკოლის გარეშე მუშაობის ხელმძღვანელობა და მთელი თავისი ენერგიით შეუდგა მუშაობას კლუბის გამგეობასა და ბიბსაბჭოსთან ერთად.

ამხანაგი მატერიალურ დახმარებასაც უწევს ბიბლიოთეკას. პირველი ჯამაგირის აღებისთანავე 15 მანეთი შესწირა ბიბლიოთეკას ლიტერატურის შესაძენად. ამ თანხით ბიბლიოთეკამ შეიძინა 114 ც. წიგნი.

ლეგიონის, სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა მთელი შემადგენლობა უღრმეს მადლობას უძღვნის ამხანაგს ამის გამო.

ხოლო ბიბსაბჭომ კი დააფასა მისი ენერგიული მოღვაწეობა და აირჩია ის საბჭოს საპატიო წევრად.

ბიბსაბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ ამხ. წითლიძე შესძლებს განახორციელოს მასზე დამყარებული იმედები მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

საბჭოს მონდობილობით
**სამხკორი დავლთმი.**

## ნუ დაგვიკარგავთ პოლიტსაათს.

მე-6-ხე ლეგ. საკავშირო გუნდი.

ლეგიონის საბანაკოთ გასვლის შემდეგ, საკავშირო გუნდში ერთხელ მეტად არ ჩატარებულა პოლიტსაათი. ასევე მოხდა საკომენდანტო ასეულშიც.

იმ საათებში, როდესაც პოლიტსაათები უნდა მიმდინარეობდენ, ყველა არმიელები ტყვილა უბრალოდ დავიარებით.

თუ ისეა საქმე, რომ პოლიტხელმძღვანელები არ გვყოფნის ან არ არიან აქ, რად არ დაავალებენ იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ ჟამად იქნენ მოვლინებული ასეულებში სამხედრო სკოლიდან. მათაც შეუძლიათ გვამეცადინონ და დრო ტყვილა არ გვეკარგებოდეს.

მიიღეთ ზომები ვისაც ეს გეხებათ და მოაგვარეთ ჩვენთან პოლიტსაათები

**რ. ქორი.**

## კვება გაგვიუმჯობესეს.

5-თე ლეგიონი.

მე-5 ლეგიონში სურსათ-სანოვაგე ბლომად გვაქვს და კვებაც საგრძნობლად გაგვიუმჯობესეს.

სადილი ძლიერ ნოყიერი და კარგი კეთდება, თითქმის კერძო სასტუმროში გაკეთებულ საჭმელს სჯობია. ზოგიერთ დღეებში ორ-სამნაირი კერძი კეთდება. რაც შეეხება ვახშამს ისიც საუცხოვო გვეძლევა. ხშირად ბურღულის მაგიერ ბრინჯის ფლავს გვაძლევენ.

ყოველივე ამის გამო წითელ-არმიელები ძლიერ კმაყოფილი არიან.

პურიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამ ჟამად გაცილებით უკეთესი პური ცხვება ვიდრე წინად ცხვებოდა.

ამნაირად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებით, ჩვენი წითელი ჯარის ეკონომიური პირობებიც თანდათან უმჯობესდება.

სამხკორი წითელ არმიელი
ოგანოვი.

## ტოლაღები არა გვაქვს.

(პირველი საკავშირო ასეული)

შემოდგომაზე გამოწვეულ წითელ არმიელების უმრავლესობას ადრე დაურიგეს ტოლაღები, უმცირეს ნაწილს კი ჯერაც არ მიუღია. არ ვიცით რისთვის შევადგენთ ჩვენ გამონაკლისს, ვისაც შეძლება ჰქონდა შეიძინეს საკუთარი ფულით, ვისაც არა და ის გაჭირვებულია.

საჭიროა ყურადღებით მოეკიდონ ამ გარემოებას და დაკმაყოფილებული იქნენ გამორჩენილი წითელარმიელები.

წითელარმიელი
**ნინუაკუთხელი.**

## პარტიული ცხოვრება.

1-ლი ლეგ. სკოლის უჯრედი.

11 სექტემბერს ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში შესდგა სკოლის კომუჯრედის ღია კრება.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ მოლაშქრეების შესახებ. და 2) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. ცინცაძე. ამხანაგი დაწვრილებით შეეხო შვებულ არმიელის მოვალეობას სოფლად, როგორი ხასიათის მუშაობა უნდა ვაწარმოოთ, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება და როგორი დახმარება უნდა გაუწიოთ გლეხებს.

კოოპერაცია, ქოხსამკითხველო, მეურნეობა ყველაფერი იქნა გაშუქებული.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია. საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ შვებული წ. არმიელები ყოველმხრივად შეეცდებიან გაუზიარონ სოფლის გლეხობას თავისი ცოდნა და გამოცდილება.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის ჰიმნით.

შვებულებაში მიმავალი **აპ. ხაჟალია.**

# განაკიდან წითელ ყაზარმაში

## მეთაურთა სკოლაშ.

მეცადინეობა განახლებულია. მეცადინეობს მოსამზადებელი კურსი. უმცროსი და უფროსი კურსის კურსანტები დაგზავნილი არიან პრაქტიკის მისაღებად!

ისინი მალე დაუბრუნდებიან სკოლას და გამოცდილებას, ცოცხალ შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ უმცროს ამხანაგებს!

კურსანტების ერთი ნაწილი მოკლე ვადიან შვებულებაშია გაშვებული.

კურსანტთა უმრავლესობა დღეს სკოლაში არაა, მაგრამ აქ სიცოცხლე და ხალისი მაინც თვალ-საჩინოა.

დარჩენილ და ახლად მიღებულ კურსანტებთან მეცადინეობა ლაბორატორიებში დიდი ინტერესით სწარმოებს. ბიბლიოთეკა-სამკითხველოც სავსეა მკითხველებით.

სკოლა ამ ბოლო დროს სათანადო დისციპლინით უფრო წარმოადგენს ერთ მთლიან — სამხედრო ორგანიზაციას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამხედრო სკოლა მომავალში კიდევ უკეთეს მეთაურებს დაგვიზდის, რადგანაც მას მეტი დრო და გამოცდილება აქვს!

სკოლას „წითელ-არმიელთა სამწყობრო და უმწყობრო გუნდი ერთგულად ემსახურება.

სამნეო ნაწილმაც წამოიწია და უფრო დრო-გამოზომილად და მიზანშეწონილად მუშაობს.

სკოლაში აქამდე ორი წიგნთსაცავი არსებობდა: სკოლის ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სამოსწავლო ნაწილის ბიბლიოთეკა. ეხლა ეს ორივე ერთდება და სკოლის ბიბ-სამკითხველოც ფართოვდება და ახალი წიგნებით ივსება.

სკოლის კლუბიც დიდ სამზადისშია: წრეები აპირობენ ამოქმედებას დრამატიული და მომღერალთა წრე უკვე შეუდგა მუშაობას. დანარჩენი წრეებიც ალბად არ ჩამორჩებიან მათ და კლუბიც მალე გამოცოცხლდება.

საკლუბო საბჭოს 8 სექტემბერს ჰქონდა თათბირი, რაზედაც დიდი ყურადღება მიაქცია კლუბის შეკეთებას და სხვა ტეხნიკური საკითხების მოგვარებას.

თათბირმა კლუბის უფროსის თანაშემწეს ამხ. ეზიაშვილს მიანდო ცალკე საკლუბო რეპერტუარის (ბიბლიოთეკის) შექმნა...

კლუბი შეუდგა წით-არმიელთა უვადო შვებულებაში დათხოვნის კამპანიისა და გამოსათხოვარი საღამოს მზადებას.

უფ - პოლიტშემადგენლობა უნდა ჩაებას საკლუბო მუშაობაში.

**სოსო ვანანიშვილი.**

## სამხკორთა წრის მუშაობა 1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონში.

11 სექტემბერს შესდგა ლეგიონის სამხკორთა საგანგებო კრება, სადაც დაესწრო გაზეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციის წარმომადგენელი ამხ. სიმონგულოვი.

დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1. სამხკორთა წრის მუშაობა აღნიშნულ ლეგიონში და 2. სამხკორთა წრის მუშაობა სხვა და სხვა ნაწილებში.

პირველი საკითხის გარშემო მოხსენებით გამოდის წრის ხელმძღვანელი ამხ. ს. იმნაიშვილი, რომელიც ეხება საკითხის ნათელსაყოფად, წრის დაარსებიდან ყველა დადებითი და უარყოფითი მოვლენებს, რომელსაც ქონდა ადგილი ჩვენს ლეგიონში.

ამხ. მომხსენებელს მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რამდენი ირიცხება კორესპონდენტები წრეში, რამდენი კრებები იყო წრის დაარსების პირველ ხანებიდან (ე. ი. 1924 წ. მაისიდან) და როგორი იყო ხელშემშლელი პირობები—უმთავრესად ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს თავის მოხსენებაში, რომ 1-ლ ხანებში სამხკორები, მართალია განიცდიდენ დევნას ზოგიერთ პირებისაგან, მაგრამ ეს მოვლენა სრულიად იქმნა აღმოფხვრილი ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მიერ—რის შემდეგ სამხკორთა მუშაობა მიმდინარეობდა ჩქარი ტემპით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაყოფიც კარგი არის.

მე-2-ე საკითხის გარშემო ილაპარაკა რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. სიმონგულოვმა. მან გაგვაცნო სამხკორთა შორის მუშაობის წესს წრეებისა და სხვა და სხვა ნაწილებში.

ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა მრავალი დეფექტები მუშაობაში.

ამასთან ერთად ამხ. მომხსენებელმა გაგვაცნო, თუ რომელ ნაწილიდან რამდენი კორესპონდენციას ღებულობდა რედაქცია და რამდენი იქნა მოთავსებული გაზეთის ფურცლებზე.

ბოლოს ამხ. მომხსენებელმა მოუწოდა კრებას მომავალში მეტი ენერგიული მუშაობისაკენ და გაზეთთან მჭიდრო კავშირის გაბმა.

მოხსენებების გარშემო იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია.

მუშაობა როგორც ლეგიონის წრისა, ისე რედაქციისა ცნობილი იქმნა დამაკმაყოფილებლად. მხოლოდ დაემატა რედაქციის მისამართით შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს რითიმე უვადო შვებულებაში მიმავალ სამხკორებს, რომელსაც სახსოვარის ხასიათი ექნება.

**სამხკორი დურბინდი.**

## დროა მოგვაქციოთ ყურადღება.

(1-ლ ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსის საყურადღებოთ)

არა ერთხელ და ორხელ დაიწერა ჩვენს გაზეთის ფურცლებზედ იმ ნაკლის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ამავე ლეგიონის სამნეო გუნდში, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა, მდგომარეობა თითქმის უფრო უარესდება.

საქმე შემდეგში მდგომარეობს:

პირველ ხანებში ჩვენს სამნეო გუნდში საცვლების მიწოდების საქმე კარგად იყო დაყენებული, თავ-თავის დროზე დავდიოდით აბანოში და სხვა.

ამ უკანასკნელად კი ასე არ არის. ჯერ ერთი რომ აბანოში ძალიან დაგვიანებით გვიხდება წასვლა, და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ, ხსენებულ გუნდში, წითელ არმიელების ერთი მესამედი ისე დადიან რომ საცვლები სრულიად არ აცვიათ, დანარჩენებს რომლებსაც აცვიათ ისეთია, რომ თოფების საწმენდათაც არ გამოდგება.

ამ უკანასკნელად კიდევ შემოიღეს ჩვენთან საზაფხულო ხალათების მიცემა, ზევითა საცვალის მაგივრად.

იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მწითელარმიელს ქვედა საცვალის მაგივრად, ზედა საცვალი ეცვა. უკანასკნელად საკვირველი ის არის, რომ დღეს ყველა ამავე ლეგიონის ასეულები დაკმაყოფილებული არიან როგორც აბანოთი, ისე საცვლებითაც, და ჩვენ რისთვის უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს?

ყველა ამაზე უნდა ზრუნავდენ გუნდის ხელმძღვანელები.

მაგრამ ეს ამხანაგები არავითარ ზომებს არ ღებულობენ. ჩვენდა საუბედუროთ მეკუჭნავეც ისეთი გვყავს რომ არაფერზე არ ზრუნავს.

სამნეო ნაწილის უფროსო, მოგვაქციეთ ყურადღება.

წ. არმ. სიმართლის მოყვარული.

## რად არ აქცევენ ყურადღებას.

პირველ ლეგიონის ბატარეიისა და სამნეო გუნდის სამზარეულოში ყველაფერი სუფთად არის, მაგრამ ადუღებული ჩაის წყლის მოწოდების საქმე ვერ არის დაყენებული კარგად.

წყალს პირდაპირ საერთო ქვაბიდან იღებენ კრუშკებით და ისე მოაქვთ, რაც დაუშვებელია ჰიგიენურად.

ნუ თუ ასე ძნელია ქვაბს ერთი ონკანი გაუკეთონ?

მოაწესრიგეთ ეს საქმე ვისაც გეხებათ.

**ფშნის პირელი.**

# შვებული წითელ არმიელი და სოფელი

## განამტკიცე კოოპერაცია.

### სოფელი და ქალაქი.

„ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმა არის ყველაფერი, რაც ჩვენ გვინდა.

მხოლოდ, კოოპერაციის საშუალებით განვახორციელებთ ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობას.

განათლებულ კოოპერატორთა წესწყობილება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრიობის დროს არის იგივე სოციალისტური წესწყობილება".

ლენინი

საბჭოთა კავშირის მოღონიერებისა და განმტკიცების საქმეში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სოფლისა და ქალაქის დაახლოებას. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, გლეხებისა და მუშების დაახლოებას. მაგრამ მათი დაახლოება ძნელი იქნება თუ ამისთვის არ იქნა შესაფერი პირობები. ამ პირობების შექმნას კი ხელს უშლის კერძო ვაჭრობა. კერძო ვაჭარი სცდილობს რაც შეიძლება იაფათ იყიდოს გლეხის ნაწარმოები და სამაგიეროთ ძვირათ მიყიდოს მას ქალაქის ნაწარმოები. ეს გარემოება კი იწვევს გლეხების უკმაყოფილებას გაძვირების ნიადაგზე და მათ ჩამოშორებას ქალაქიდან. აქ ხელისუფლების დამხმარე ძალათ გამოდის

### კოოპერაცია.

ეხლა უკვე შემოდგომა დგება. გლეხი იწყებს პირნახულს და იმარაგებს ზამთრისათვის მისთვის საჭირო საგნებს. სახელმწიფოც ეხლა აწარმოებს სურსათ-სანოვაგის და განსაკუთრებით, კი ხორბლეულის დამზადებას. ამ საქმეში ეხლა ფართოდ არიან ჩაბმული კოოპერატიული ორგანიზაციები. ყველა შეგნებული მოქალაქე ამ საქმეში უნდა დაეხმაროს კოოპერაციას. უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელს ბევრი რაიმეს გაკეთება შეუძლია ამ მხრივ.

### რა სარგებლობა მოაქვს კოოპერაციას.

ჯერ ერთი: როდესაც გლეხი კერძო ვაჭრიდან ყიდულობს საქონელს, მაშინ მას უხდება მეტი მისცეს კერძო მევახშეს, იმიტომ რომ უკანასკნელმა თავი შეიწუხა ქალაქიდან ჩამოეტანა საქონელი და სამაგიეროთ „რათქმა უნდა მეტი უნდა ეღოს" ვიდრე ღირს საქონელი არსებითად. კოოპერატივი კი გლეხს საქონელს აძლევს ისე, როგორც მას დაუჯდებოდა, რომ წასულიყოს ქალაქში და თვით ეყიდა ხან კი უფრო იაფათაც.

მეორე: კერძო მევახშე სცდილობს გლეხს იაფათ დასტყუოს მისი ნაწარმოები და შემდეგ ის დიდი მოგებით გაყიდოს ქალაქში. კოოპერატივი კი—გლეხს უვაჭროთ აძლევს იმდენს, რამდენსაც მას მისცემდნენ ქალაქში, რომ ჩაეტანა. გარდა ამისა კოოპერატივი თუ მოღონიერდა იგი დახმარებას გაუწევს გლეხს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენით, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაფართოვებაშიც და სხვა. კერძო ვაჭარი კი, რაც არ უნდა გამდიდრდეს გლეხს დახმარების მაგიერ თლათ გატყავებას მოუნდომებს.

ჯარიდან დაბრუნებულმა ამხანაგებმა მიზნათ უნდა დაისახონ გლეხებში კოოპერაციის დეების გავრცელება საუბრების, პრაქტიკული მუშაობის და სხვა საშუალებით. ამით უვადო შვებულებაში დაბრუნებული დიდ ღვაწლს დასდებს, როგორც გლეხებს, ისე მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განმტკიცებას.

## უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელებს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებიდან.

დღეს 1902 წელში დაბადებულ წითელარმიელებს უშვებენ ისევ სოფლად. ისინი უბრუნდებიან თავიანთ კერას, სადაც შეიტანენ ბევრ ახალს. 1902 წელში დაბადებულნი არ დაკარგავენ იმას, რაც შეიძინეს წითელ ჯარში, პირიქით საბჭოთა ხელის-უფლება მათ უშვებს სოფლად და დარწმუნებულია, რომ სოფლის აქტივი ამით ძლიერ გაიზრდება.

სამხედრო ხელოვნებამ ბევრი მისცა წითელარმიელს და ის მოითხოვს მისაგან ანგარიშს მაშინ, როდესაც დაკრავს პროლეტარიატის საყვირი მყვლეფელთა გასამუსრავად.

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება კი 1902 წელში დაბადებულს ავალებს გადასცეს მის ძმებს, ამხანაგებს და მეზობლებს ის, რაც მან შეიძინა ჯარში და სამხედრო წრეებში.

სოფლის სამკითხველოებში, კლუბებში და გლეხის სახლებში არის დაარსებული სამხედრო კუთხეები და მასთან სამხედრო და სროლის წრეები, 1902 წელში დაბადებულნი სოფლად დაბრუნებისას უნდა შეუდგენ ამ კუთხეების განახლებას და სადაც არ არის—დაარსებას. უნდა იცოდეს როდის იყრის თავს გლეხობა სამკითხველოებში სამხედრო კუთხეებთან და გახდეს იქ ხელმძღვანელი მათთან ბაასისა.

კუთხეში იქნება სურათები და დიაგრამები, რომელსაც ბევრი გლეხი ვერ მიხვდება, აქ ჩვენი წითელარმიელი გამოდის და უხსნის მათ ისე, როგორც მას ასწავლეს ჯარში უფდა პოლიტ შემადგენლობამ.

სროლის წრეების აუცილებლობის აგიტაციის წარმოება და მასში აქტიური მუშაობა—ეს ორი მთავარი ამოცანა უვადო შვებულებაში გაშვებულ წითელარმიელმა უნდა შეასრულოს თამამად.

ტერსისტემის, მისი მნიშვნელობის ახსნა და დახმარება აგრეთვე ევალება ჩვენს წითელარმიელს მისთვის, რომ ტერსისტემა იძლევა საშუალებას მუშათა კლასის გასამხედროებისა, მუშა ხელის გაუცდენრად.

ჩვენმა წითელარმიელმა აგრეთვე არ უნდა დაივიწყოს გაზეთი „წითელ არმიელი", რომელიც აძლევს მუშათა კლასს სულიერ საზრდოს. გაზეთ „წითელ არმიელში" ყოველ საკითხზე ნახავს მუშა და გლეხი პასუხს, ამისათვის მასთან მჭიდრო კავშირით ის გაიგებს სამხედრო ხელოვნების ახალ მიღწევებს, რომელსაც შემდეგ გადასცემს გლეხობას. რაიმე საკითხი, რომლის გამორკვევა ჩვენ წითელ არმიელს არ შეუძლია ადგილობრივი ძალებით, უნდა იქნეს გამოგზავნილი გაზეთის რედაქციაში, რაზედაც მიიღებს პასუხს.

ამ რიგად ქართულ დივიზიების სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება ღრმად არის დარწმუნებული, რომ უვადო შვებულებაში მიმავალი წითელარმიელები გაამართლებენ მუშათა კლასის მათზე შეხედულებას, იქნებიან სოფლის აქტივები, როგორც ყოველ დარგში, აგრეთვე სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებაშიც.

ნ. ზამრეკლიძე.

## სოფლის კორესპონდენტები და მისი ამოცანები.

### რა უნდა ახსოვდეს უვადო შვებულებაში მიმავალს.

ხშირათ არის, ხოლმე, რომ გლეხები არ არიან კმაყოფილი თავის მდგომარეობით და ხელისუფლებით.

ისინი ხედავენ რომ სოფლად გამოჩნდა ვინმე „ძლიერი" კაცი, დაიკიდა წელზე რევოლვერი და რასაც უნდა იმას აკეთებს. ხშირათ ასეთი „ხელისუფლები" უსამართლობას სჩადიან. გლეხს კი ხმა ვერ ამოუღია. იგი ფიქრობს რომ მთავრობაც ისეთივე უსამართლო იქნება, როგორც მისი უახლოესი ადმინისტრატორი. მთავრობამ კი ამის შესახებ არაფერი არ იცის, თორემ ასეთ ვაჟბატონებს იგი ცხრა მთას იქით გააგზავნიდა. გლეხის უკმაყოფილებაც აქ იბადება. რომ ეს არ მოხდეს და რომ გლეხობამაც გაიგოს, რომ დღეს მუშურ-გლეხური მთავრობაა და იგი იცავს მხოლოთ მუშების და გლეხების ინტერესს ამისათვის საჭიროა:

### სოფლკორი.

სოფლის კორესპონდენტმა მთელი ის უსამართლოება, რასაც იგი შენიშნავს სოფელში უნდა გამოამზეუროს გაზეთის ფურცლებზე. ეხლა მთავრობამ კანონები გამოსცა, რომლის ძალითაც სოფლის კორესპონდენტს ვერავინ ხელსაც ვერ ახლებს, თუ იგი სიმართლეს დასწერს, რასაკვირველია.

მაგრამ გლეხმა წერა არ იცის. იმას გონია, რომ გაზეთში წერილის გაგზავნისათვის საჭიროა რაღაც განსაკუთრებული ნიჭი, სწავლა და სხვა.

აქ ასპარეზზე უნდა გამოვიდნენ უსათუოდ ჯარიდან დაბრუნებული ყოფ. წითელ არმიელები.

ისინი ერთგვარათ მიჩვეული არიან კიდეცა გაზეთში წერას. ყოველ უვადო შვებულებაში მიმავალს უნდა ახსოვდეს რომ

### სოფლკორი—საზოგადო მოღვაწეა.

სოფლის კორესპონდენტი აკეთებს თავის კორესპონდენციებით დიდ სახალხო საქმეს: იგი ხელს უწყობს მუშურ-გლეხურ მთავრობას სოფლათ მუშაობაში, რაიც თავდებია ამ მთავრობის განმტკიცების.

გარდა ამისა ჩვენ გამოცდილ ყოფილ სამხედროს შეუძლია თავი მოუყაროს გლეხ ახალგაზრდებს და მათ შეასწავლოს კორესპონდენტობა. საჭიროა სოფლად მისვლისას მოუყარონ თავი დაინტერესებულ გლეხებს და დაარსონ „გაზეთის მეგობართა" ჯგუფი.

### კედლის გაზეთი.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კედლის გაზეთს. მას უმთავრესათ აქვს ადგილობრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

### კავშირი არმიასთან.

შვებულებაში მიმავლებმა არ უნდა გასწყვიტონ კავშირი წითელ არმიასთან. ისინი სისტემატიურად უნდა სწერდენ ჩვენ გაზეთში მათი სოფლის ავ-კარგიანობის შესახებ, ეს ძლიერ შეუწყობს ხელს ჯარისა და გლეხობის დაახლოებას.

აქ არის აუარებელი საკითხები და ამოცანები, რომლებიც დგებიან ჯარიდან დაბრუნებულთა წინაშე და რომლებზედაც ჩვენ შევეცდებით შემდეგ ნომერში მოგელაპარაკოთ.

## სამხედრო ქიმიიდან.

გასულ იმპერიალისტურ ომის დროს მტრის ცოცხალი ძალის დასაზიანებლად ნახმარი იქნა საწამლავი ნივთიერებანი, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო, რადგან ის ძლიერი იარაღი გამოდგა. და ყოველ მეომარ სახელმწიფოს მიერ იქნა ნახმარი. თუ რამდენად იყო განვითარებული ჯერ გასულ ომის დროს საწამლავ ნივთიერებათა წარმოება, ამას დავინახავთ შემდეგიდან:

1915 წლიდან—1917 წ. გერმანიამ გაამზადა 3.000.000 ფუთი საწ. ნივ. იმავე წელს ამერიკამ—დაამზადა 6,000000 ფუთი საწამლავი ნივთ. ეს მაგალითი იმას გვიჩვენებს თუ, როგორ და რა დონეზე ქონდათ დაყენებული ხსენებულ სახელმწიფოებს მშვიდობიანი ქიმიური წარმოება, რომლის ომიანობისათვის სამხედროდ გადაქცევა სიძნელეს არ წარმოადგენს ომიანობის დროს ქიმიური წარმოების თავის დონეზე დაყენება შეიძლება მაშვინ, როდესაც მშვიდობიანობის დროს ქიმიური ნაწარმოები არის საკმაოდ.

სახელმწიფოს ყოველთვის უნდა ქონდეს გათვალისწინებული სამხედრო ქიმიური წარმოება, და ომამდე ქარხნებში უნდა იქნეს გეგმა მისი გასამხედროებისა.

მშვიდობიანობის დროს წარმოუდგენელია სპეციალური ქარხნები, რომელნიც მხოლოდ საწამლავ ნივთიერებას იძლეოდეს, ეს იქნება ტყუილი ხარჯი მისთვის, რომ ერთის მხრივ, საწამლავი ნივთიერების შენახვა დიდი ხნით სიძნელეს წარმოადგენს—აფუჭებს ჭურჭელს, და მეორეს მხრივ საწამლავ ნივთიერების რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ყოველი სახელმწიფო ცდილობს ისეთი აირი გამოიგონოს, რომელიც არ იქნება შესწავლილი სხვა სახელმწიფოს მიერ, რომ ვერ შესძლოს მისგან თავის დაცვა.

საწამლავი ნივთიერება ჩვენს ცხოვრებაში არის ხმარებაში აგრეთვე სასოფლო სამეურნეო დარგში, სახელდობრ მიწის ნიადაგის განოყიერების საკითხში და მეურნეობის მავნებლობასთან ბრძოლაში, ამისთვის ევროპა ამერიკის სახელმწიფოები დღესაც მშვიდობიან დროს ღებულობენ უამრავ საწამლავ ნივთიერებას, რომ გამოიყენონ მეურნეობაში და შეისწავლონ იოლი და იაფი ტეხნიკით მიღება საწამლავ ნივთიერებისა.

ქლორი, როგორც საწამლავი ნივთიერება, აგრეთვე გამოიყენება სხვა დარგშიდაც. მაგალითისათვის მოვიყვანოთ წყლის სტერილიზაცია (გაწმენდა). ჩვენ კარგად ვიცით, რომ წყლის მეოხებით ადამიანი ხშირად ხდება ავათ და რომ ამორის ავადმყოფობას აძლევს წყალს, ბაცილებმა რომ არ შეყაროს სახადი ან ხოლერა. ხშირია, რომ ყოველი ამას ვერ შობა თავის სიღარიბის გამო და ბოლოს ავათ ხდება. ქლორის საშვალებით კი შეიძლება წყლის გაწმენდა, სახელდობრ წყალში იმ ბაცილების დახოცვა, რომელნიც ავრცელებენ სახადს და ხოლერას.

გ—ძე.

## შვებული და ქოხ-სამკითხველოსმუშაობა.

ქოხ-სამკითხველო სოფლისათვის წარმოადგენს საუკეთესო პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს, რომელშიაც უნდა ჰქონდეს თავი მოყრილი სოფლის ყველა აქტიურ პირებს, სოფლის საზოგადოებრივ საქმით და მუშაობით დაინტერესებულთ. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ასეთ აქტიურ პირებათ? პარტიის და კომკავშირის წევრები, ჯარიდან დაბრუნებული წითელ არმიელები, ტერ-არმიელები, სოფლის მასწავლებლები, ექიმები, აგრანომები—აი ესენი არიან ის პირნი, რომლებმაც უნდა აწარმოონ ქოხ სამკითხველოში მუშაობა.

ქოხ-სამკითხველოს მუშაობა მრავალფეროვანია. იგი ეხება სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკურ, სანიტარულ, ანტირელიგიურ, საერთო-საგანმანათლებლო და სხვა გლეხისათვის საჭირო საკითხებს. ქოხ-სამკითხველომ რაც შეიძლება მეტი გლეხობა უნდა ჩაითრიოს მუშაობაში. მხოლოდ მაშინ შეიყვარებს გლეხი თავის ქოხ-სამკითხველოს, როდესაც ის დაეხმარება მას რჩევა დარიგებით და საქმით. ჩვენმა ქოხ-სამკითხველოებმა დღემდე ვერ შესძლეს ფართე გლეხთა მასის ჩათრევა.

ეს აიხსნება იმით, რომ სოფელს დღეს-დღეობით ცოტა პიროვნებები მოეძებნება სათანადოთ მომზადებულნი და დაინტერესებული საზოგადოებრივი მუშაობით.

წითელ-არმიელი, რომელმაც ორი წლის განმავლობაში ჯარში შეიძინა პოლიტიკური და სამხედრო ცოდნა, რომელმაც გაიარა ქოხ-სამკითხველოს და კოოპერაციის კურსები, უნდა გახდეს ქოხ-სამკითხველოს საუკეთესო მომუშავეთ. იქ სადაც დღემდე ქოხ-სამკითხველო არ არის გახსნილი, ჯარიდან დაბრუნებული წითელ-არმიელი უნდა შეიქმნას ქოხ-სამკითხველოს გახსნის ინიციატორათ. ჩვენი სოფელი მოუთმენლათ უცდის უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელს.

შვებულო წითელ-არმიელო, შენ უნდა გაამართლო წითელ-არმიის და შენი სოფლის იმედები და მთელი შენი ენერგიით უნდა ჩაება სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში და უპირველესათ ქოხ-სამკითხველოში. შენ უნდა გახდე მაგალითი სოფლის ახალგაზრდობისათვის და მათთან ერთად სოფლის ახალი ცხოვრების მამოძრავებელი.

ტ. წვენიევი.

# უკანასკნელი ცნობები

რადიო დეპეშები.

## ომი მაროკოში.

### საფრანგეთის ოპერაციები.

ქ. ფეციდან იტყობინებიან, რომ მტერი (რიფები) ამაგრებენ ბობანის მთიან ადგილებს. არტილერიას და მფრინავებს მუდგარი იერიში მიაქვთ მტრის სანგრებზე. გაზეთები ადასტურებენ, რომ ფრანგულ ჯარების შეტევას ჩრდილო მაროკოში მიზნად აქვს დასახული ძველი ფრანგულ ფრონტის შექმნა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სამხედრო და პოლიტიკურ დარგში ნიადაგის მომზადება ნამდვილ შეტევისათვის, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მომავალ გაზაფხულს.

## საუბარი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელთან ინგლისში.

ინგლისში დანიშნულ რუსეთის ვაჭრობის წარმომადგენელმა ხლოპიანკინმა „ტასი"-ს თანამშრომელს განუცხადა, კარგი მოსავალი და სხვა დარგებში პროდუქციის აწევა საშუალებას გვაძლევს ჩვენ 1925—26 წ. მეტი საქონელი გავიტანოთ უცხოეთის ბაზარზე.

ჩვენი მრეწველობა თანდათან იზრდება, რომელიც კარგ მოსავალთან ერთად უნდა გაიზარდოს უფრო მეტად, რადგან გლეხობა გაასაღებს რა თავის საქონელს, მოითხოვს ქალაქის ნაწარმოებს.

## პარტიზანული რაზმები ბულგარეთში.

ქ. ტროიანის მახლობლად გამოჩნდენ პარტიზანული რაზმები, რომელთა მოქმედება დიდ პანიკას იწვევს მთავრობის მომხრე პარტიაში. ქ. ტროიანი შეიარაღებულ ბანდას წარმოადგენს, რომელსაც შეიარაღებული პატრულები იცავენ და სადაც მასიური ჩხრეკებია.

## მოგვეცით სანიტსაათი.

1-ლ ლეგ. ბატარეია.

ბანაკად ყოფნის დროს, ჩვენი ბატარეია ძლიერ ჩამორჩენილი იყო სანიტ-საათებში მეცადინეობას. არც მის შემდეგ გვეშველა რამე. თითქმის ორი თვე იქნება რაც ჩამოვედით ბანაკიდან და ჯერ ჩვენთან არ ჩატარებულა სანიტ-საათი.

კარგი იქნება ჩვენი ექიმი საჭირო ზომებს მიიღებდენ ამ მხრივ, რადგან სწორედ ეხლა საჭირო სანიტარული რჩევა დარიგებების მიცემა ამხანაგებისათვის, რადგან ბევრი მათგანი მიდიან შვებულებაში და სოფლად მუშაობის დროს რომ, ნაკლები წარმოდგენა ექნეთ ამ დარგზე არ ივარგებს.

განაახლეთ სანიტ-საათები.

სამხკორი გა—ვარდა.

## უცხოეთის არმიებში.

ახალი ავტომატიური თოფები

საფრანგეთში ახალი შოშას სისტემის ავტომატიური თოფები შესცვალეს, პოდპოლკოვნიკ რებელის სისტემის თოფებით. ახალი იარაღი განსხვავდება თავისი ყოველმხრივი გაუმჯობესებით, მეხანიზმის სისადავისა და სიმსუბუქით. იწონის დაახლოებით 9 კილოგრამს.

ინგლისში სამხედრო უწყებას განზრახული აქვს ლუისის სისტემის ავტომატიური თოფები შესცვალოს ბრაუნინგის სისტემის ავტომატიური თოფებით.

შვეიცარიაში უკვე მოახდინეს ისეთი სისტემის თოფის გამოცდა, რომლითაც შეიარაღებული უნდა იქნეს თითეული ფეხოსანი ბათალიონი. ეს თოფი იწონის 2 კილოგრამს; ის მეტია ჩვეულებრივ შაშხანა თოფზე, აქვს 30 ტყვიის ჩასაწყობი ყუთი, და 450 ტყვიას სროულობს წუთში.

იაპონიაში შემოღებული იქნა ნაბბუს სისტემის თოფი. ჩადის 30 ტყვია, წამში უშვებს 8 ტყვიას. უძლებს—20.000 გასროლას.

შეერთებულ შტატებში სწარმოებს გაროს სისტემის ავტომატიური თოფის გამოცდა. იწონის 4 ნახევარ კილოგრამს გასროლის სიჩქარე—60 ტყვია წამში.

ახალი ჰაეროპლანის მოტორში.

საფრანეთის პრეზიდენტ პენლევემ საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის სხდომას მოახსენა საჰაერო ნაოსნობაში ახალი გამოგონების შესახებ, რომელიც ძირეულ გადატრიალებას მოახდენს საჰაერო მიმოსვლაში. როგორც ცნობილია ჰაეროპლანის აფრენის დროს, ჰაერის მიერ გაწეული წინააღმდეგობა რომელიც ძლიერ დიდია, საგრძნობ გავლენას ახდენს მოძრაობის სიჩქარეზედაც.

დიდ სიმაღლეებზე, ჰაერი უფრო თხელია და იქ შესაძლებელია დიდი სიჩქარე გამოიჩინოს აპარატმა, რომ ჰაეროპლანის მოტორი 5 ვერსის სიმაღლეზე არ ჰკარგავდეს თავისი სიძლიერის ნახევარს. გამოგონება, რომლის შესახებაც გააკეთა პენლევემ მოხსენება და რომელიც ეკუთვნის ფრანგ ინჟენერ დამბლანუს, შესაძლებლობას იძლევა ისეთივე ძალა შეინარჩუნოს მოტორმა დიდ სიმაღლეებზედაც როგორც ქვევით.

ამის მიღწევა შეიძლება იმ ადგილის შევიწროებით, სადაც სწარმოებს ნარევ ამაფეთქებელ ნივთიერებათა კომპრესია მოტორის ცილინდრში. ამ ამოცანის გადაწყვეტით ადვილი შესაძლებელი და თანაც ეკონომიურად ხელსაყრელია მაღალი სიმაღლეებში ფრენა. გამომგონებლის აზრით მოტორის ასეთი გაუმჯობესება შეაძლებინებს მფრინავს რამოდენიმე საათში გადაფრინდეს პარიზიდან—ნიუ-იორკში.

## მეცნიერება და ტექნიკა

სიცოცხლის ჩანასახი დედამიწაზე.

ზოგიერთი მეცნიერები იმმიწაზე სხვა პლანეტებიდან იმ აზრის არიან, რომ პირველი სიცოცხლის ჩანასახი დედამიწაზე სხვა პლანეტებიდან ან სხვა ცის სხეულებიდან გადმოვიდა დედამიწაზეო. უკანასკნელ ხანებში ბევრი ილაშქრებს ასეთი აზრის წინააღმდეგ და საფუძვლიანადაც, რადგან მეცნიერულმა ცდებმა ნათელყვეს, რომ ასეთი მოვლენა შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ მზე უშვებს ერთგვარ სხივებს, რომელსაც ულტრა იისფერი სხივები ეწოდება (ისინი შეუმჩნეველი არიან ჩვენი მხედველობისათვის) და რომლებიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევდენ დედამიწაზე სიცოცხლის ჩანასახის გადმოვარდნას. ამას გარდა ჰაერის ზედა ფენებში იმყოფება ე. წ. კატოდის X სხივები და ესენიც არ ატარებენ მსგავს ჩანასახს.

უხსოვარ გეოლოგიურ პერიოდში ეს მიზეზები ისე მოქმედებდენ, როგორც ამჟამად. მაშასადამე ხსენებული სხივები ისე იმოქმედებდენ მაშინ როგორც ეხლა და რაიმე სიცოცხლის ჩანასახის დედამიწის ზედაპირზე ჩამოვარდნა შეუძლებელი იყო.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ასეთი ჩანასახი ჩამოვარდებოდა ხანებში, სანამ დედამიწას გარს შამოერტყმებოდა ატმოსფერა. ეს კი უფრო დაცილებულია სინამდვილისაგან, რადგან პირველყოფილი ატმოსფერა მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როდესაც ის ღველფად ქცეული მასა, რომელიც შეადგენდა დედამიწას, ნელ-ნელა გაციებით შეიკუმშა და წარმოშვა სითხეთ ქცეული ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც შემდეგ გამოეყო სხვა გარეშე მასას და წარმოიშვა ატმოსფერა.

ყველა ეს პროცესნბი სწარმოებდენ რა თქმა უნდა 1000 გრადუსზე უფრო ცხელ ტემპერატურის დროს, როგორიც უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმის გადარჩენა ასეთი სიცხის დროს ყოვლად წარმოუდგენელია.

რა თქმა უნდა ეს პირველ ყოფილი ატმოსფერა ძლიერ განსხვავდებოდა თანამედროვე ატმოსფერისაგან. ზოგიერთ წარმოდგენებს, ამის შესახებ იძლევიან ვულკანიურ ღველფისა და გაზების განხილვა, რადგანაც ეხლანდელი დედამიწის გული თავისი შემადგენლობით ახლოს სდგას პირველ ყოფილ ცეცხლოვან სითხეთ ქცეულ დედამიწის მასასთან.

## ამბები სოფლებიდან

ბაზრობა სოფლათ.

ოზურგეთის ალმასკომმა დააწესა სოფ. შუხუთში (გურია) საბაზრო დღეები ყოველ სამშაბათობით.

სანიტარიის დაცვა სოფლათ.

სოფ. ლელიანში (ალაზანგალმა, კახეთი) შემოიღეს დაჯარიმება სოფლათ სანიტარული პირობების დარღვევისათვის.

გლეხურ მეურნეობის დასახმარებლათ.

სამხ.-ოსეთის ცაკმა დაანაწილა 50 ათასი მანეთი გლეხთა მეურნეობის დასახმარებლათ.

კოოპერატივის საქმიანობა.

ზემო-ხანდაკის კოოპერატივი შეუდგა ტყის მრეწველობას. პირველ ხანებში კოოპერატივი დაამზადებს 200 ძირხეს ტფილისში გასასაღებლათ.

საექიმო პუნქტი სოფლათ.

ზუგდიდის ალმასკომმა დაადგინა გახსნას საექიმო პუნქტი სოფ. ახუთში.

წყალსადენის გასაყვანათ.

ოზურგეთის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მიწ. მოქ. სახ, კომისარიატის წინაშე მიეცეს უფასოთ ჯვარცხმის თემს უფასოთ მილები წყალსადენის გასაყვანათ.

## ახალი ამბები.

— უმიწა-წყლო გლეხების გადასახლება. ტფილისის ალმასკომმა მოიწონა სპეციალური კომისიის დადგენილება, უმიწა-წყლო გლეხების კოჯორიდან სალორისზე და ქოროღლიზე გადასახლება.

— რამდენი გლეხკომია საქართველოში. ამ ჟამად მთელ საქართველოში ითვლება 1890 გლეხკომი. აქედან 15 სამაზროა. 41 სარაიონო, 327 სათემო და დანარჩენი სასოფლო გლეხკომები.

— კედლის გაზეთების სრულიად საკავშირო გამოფენისათვის მეორე დივ. პოლიტგანყოფილება აგროვებს სამხედრო კედლის გაზეთებს.

— სამხედრო პოლიტიკურ სკოლას დახმარების სახით ტფილისის ალმასკომმა დამატებით გადასცა 200 მანეთი.

— მეორე ქართ. დივიზიის ტერნაწილებისათვის ცხენების შესაძენათ ტფილ. ალმასკომმა გადასდო 6500 მან.

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. ს—ო-ს. თქვენი ლექსები არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრების შესახებ.

ამხ. ტრანსპორტს- (2-რე საკავშირო) წერილი „არ უნდა იყოს განსხვავება" არ დაიბეჭდება.

ამხ. ხარაზაშვილს. თქვენი საპასუხო წერილი მიქაუტაძისადმი არ გავა.

ამხ. კ. რ. ქოსას (6-სე ლეგ). „გულს ვერ მიუდებთ", გაუშვით ადგილობრივ კედლის გაზეთში.

ამხ. ტერარმიელ მ-4-ს გვაცნობეთ თქვენი ვინაობა თორემ წერილი არ დაიბეჭდება.

ამხ. ძირულელს. (1-ლი საარტ.) თქვენი წერილი არ გამოდგა.

ამხ. შრაპნელს გვაცნობეთ თქვენი ვინაობა. ისე წერილი არ დაიბეჭდება.

ამხ. ე-ლის. (6-სე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია, „სამხედრო სკოლის კურსანტები ჩვენთან" არ გავა. ასეთი ერთხელ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ამხ. ახალციხელს. (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „მეხუთე ლეგიონი" არ გავა. ასეთი უკვე დაიბეჭდა.

ამხ. ვასოს. თქვენი კორესპონდენცია „ბატონოს ძახილი მოისპოს" არ გავა. წვრილმანია.

ამხ. ნავრუზაშვილს. (2-რე სარტ.) თქვენი წერილი „პირადათ ნუ შეეხებით სამხკორს" არ დაიბეჭდება. საჭიროა მოგვაწოდოთ ამაზედ ამდვილი ფაქტები.

ამხ. ენგურისპირელს. (6-სე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია არ გავა, თუ არ გვაცნობებთ ვინაობას.

ამხ ვ. მართაშვილს. (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი „პოლიტგანო სიტყვა თქვენზეა" არ დაიბეჭდება.

ამხ. მიმდევარს. (5-თე ლეგ.) წერილი „ნუ თუ ეს ზრდილობა არის" არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქარ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომ-პარტიის კანდიდატს ამავე ასეულის მეთაურის თანაშემწეს ამხ. იაკიმე თედორესძე ხურცილავას, მცხოვრებ ქუთაისის მაზრის, სოფელ კულაშის, პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ზემოაღნიშნული ამხ. შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 17 სექტემბრამდე შემდეგი მისამართით 1-ლი საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ღ. ს. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.